

სექსუალური ძალადობის პრევენცია 0-7 წლამდე ასაკის ბავშვებში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფეროსი, ქ-ნ შორენა სამაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვას ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მართა სვანიძე

25.06.2021

აბსტრაქტი

„სექსუალური ძალადობის პრევენცია 0-7 წლამდე ასაკის ბავშვებში“ კვლევის მიზანია შვილებისადმი ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების თავისებურებების შესწავლა შესაძლო სექსუალური ძალადობის პრევენციის მიზნით.

კვლევა ორიენტირებულია, შეისწავლოს თუ როგორ შეიძლება სექსუალური ძალადობის პრევენცია 0–7 წლამდე ბავშვებში. პრევენციის ერთ–ერთ გზად მოიაზრება სექსუალური განათლების უზრუნველყოფა მშობლებისთვის, რაც შემდგომში უზრუნველყოფს ბავშვის სწორ ინფორმირებულობას, მსგავსი რისკების დროულ ამოცნობას ბავშვებში და ამ ფაქტების მშობლებთან დროულ კომუნიკაციასა და რეაგირებას.

კვლევაში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ. გამოიკითხა 0-7 წლამდე ასაკის 20 მშობელი. რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ ინტერვიუს დროს ესაუბრათ საკუთარ გამოცდილებასა და მოსაზრებებზე სექსუალური ძალადობის თემის გარშემო.

კვლევის შედეგებმა გამოავლინა ძირითადი ტენდენცია, რომ მშობლები აუცილებლად მიიჩნევენ ბავშვმა იცოდეს, თუ რა ითვლება სექსუალურ ძალადობად, თუმცა, მიუხედავად ამისა, ინფორმაციის მიწოდება მათგან არ ხდება. რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ აუცილებელია მშობელს გაცნობიერებული ქონდეს, თუ როგორ მიაწოდოს ბავშვს ინფორმაცია სწორად და ეფექტურად.

The aim of the "Prevention of Sexual Violence in Children aged 0-7" research is to study the characteristics of providing information related to violence against children in order to prevent possible sexual violence.

The study also focuses on how to prevent sexual violence in children aged 0-7 years. One of the ways of prevention is to provide sex education for parents, which further ensures the correct awareness of the child, timely identification of similar risks in children and timely communication and response to these facts with parents.

The research used a qualitative research method - in-depth interview. 20 parents aged 0-7 years were interviewed. Respondents had the opportunity to talk during the interview about their own views and opinions on the topic of sexual violence.

The results of the study confirmed the main tendency that parents necessarily consider the child to know what is considered sexual abuse, however, nevertheless, information is not provided by them. Which once again argues that it is essential for the parent to have the appropriate education to be aware of how to provide the child with information correctly and productively.